# დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
# განკარგულება

განკარგულება:**g-109. 109260234**

თარიღი:**23/01/2026**

**დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების ( ფართი) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის, 122-ე მუხლის მე-5-ე პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-4-ე პუნქტის, დმანისის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 09 დეკემბრის N 108-10825343111 და 2026 წლის 14 იანვრის N 108-1082601433 წერილების საფუძველზე, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. დმანისში, 9 აპრილის ქ. N32-ში მდებარე შენობა-ნაგებობის 361,12 კვ.მ ფართიდან (ს.კ. 82.01.46.485) 242,48 კვ.მ ფართი, სსიპ სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოს ერთი წლის ვადით (2026 წლის პირველ იანვრიდან 2027 წლის პირველ იანვრამდე).

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე და გავრცელდეს 2026 წლის 01 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბოლნისის რაიონულ სასმართლოში(ქ. ბოლნისი, სულხან საბას ქ. N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი